# მნიშვნელოვან თარიღს მიეძღვნა

მიმდინარე წლის 24-25 დეკემბერს თბილისში გაიმართება საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა ყრილობისადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრებები. ფაბრიკა-ქარხნების, საკოლმეურნეო მინდვრების პატრიოტები ახალი შრომითი გამარჯვებებით ხვდებიან ამ მნიშვნელოვან მოვლენას.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობას საჩუქარს უმზადებენ ფიზკულტურული ორგანიზაციებიც. მოეწყობა ბევრი მასობრივი სპორტული ღონისძიება, სამატჩო შეხვედრა. ამასთან დაკავშირებით საქართველოს სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა გამოიტანა სპეციალური დადგენილება ყრილობისადმი მიძღვნილი სპორტული ღონისძიებების ჩატარების შესახებ.

სპორტკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონულ, სპორტულ საზოგადოებათა რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს დაევალათ ნოემბერ-დეკემბერში მოაწყონ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXII ყრილობისადმი მიძღვნილი სპეციალური სპარტაკიადები.




# გეგმები განაღდებულია

წარმატებით იმუშავა ქუთაისის სპორტკავშირმა, რომელმაც წლის ბოლომდე დიდი ხნით ადრე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46 წლისთავისათვის გაანაღდა ნიშნოსნებისა და თანრიგოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების წლიური გეგმა.

ქუთაისში წელს უნდა მომზადებულიყო 91 ოსტატი. გეგმა შესრულდა 100 პროცენტით. პირველთანრიგოსანთა მომზადების გეგმა ითვალისწინებდა 836 ერთეულს, მომზადდა — 878. მეორე თანრიგზე უნდა მომზადებულიყო 3975, სინამდვილეში მომზადდა 6-ით მეტი. მესამე თანრიგზე უნდა მომზადებულიყო 14352 სპორტსმენი, მომზადდა — 14384. [illegible] გის ნორმატივი შეასრულა 6669 სპორტსმენმა. გეგმა ითვალისწინებდა 6534-ს.

საგრძნობი გადაჭარბებით შესრულდა მშთ I და II საფეხურის ნიშნოსანთა, აგრეთვე საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები.

წლიური გეგმები ყველა მაჩვენებლების მიხედვით გადაჭარბებით შეასრულეს რუსთავის ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმაც.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

20 ნოემბერი
ოთხშაბათი,
1963 წ.
№ 229 (2334)
გამოცემის მე-20 წელი.
ფასი 3 კაპ.

## საათი!

სკა (როსტოვი)-„შახტიორი" (დონეცკი) — 3:2.

„ტორპედო" (მოსკოვი)-„დინამო" (მინსკი) — 0:0.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„დინამო" (მოსკოვი) — 0:2.

• • •

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 ნოემბრისათვის

| | ი. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (მოსკოვი) | 35 | 21 | 10 | 4 | 47—14 | 52 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 36 | 22 | 6 | 8 | 60—28 | 50 |
| „დინამო" (მინსკი) | 38 | 18 | 12 | 8 | 47—27 | 48 |
| სკა (როსტოვი) | 37 | 19 | 7 | 11 | 70—40 | 45 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 38 | 14 | 17 | 7 | 45—32 | 45 |
| „ნეფტიანიკი" (ბაქო) | 37 | 18 | 8 | 11 | 47—43 | 44 |
| „დინამო" (კიევი) | 35 | 16 | 11 | 8 | 67—45 | 43 |
| ცსკა | 36 | 13 | 17 | 6 | 35—23 | 43 |
| „დინამო" (თბილისი) | 35 | 15 | 12 | 8 | 49—39 | 42 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 36 | 12 | 15 | 9 | 44—36 | 39 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 37 | 11 | 13 | 13 | 29—33 | 35 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 36 | 6 | 19 | 11 | 21—36 | 31 |
| „კაირატი" (ალმა-ატა) | 37 | 10 | 11 | 16 | 28—47 | 31 |
| „დინამო" (ლენინგრადი) | 37 | 7 | 15 | 15 | 37—47 | 29 |
| „მოლდოვა" (კიშინიოვი) | 36 | 7 | 15 | 14 | 26—43 | 29 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 37 | 5 | 18 | 14 | 35—52 | 28 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 36 | 10 | 6 | 20 | 41—53 | 26 |
| „არარატი" (ერევანი) | 37 | 9 | 8 | 20 | 34—54 | 26 |
| „ავანგარდი" (ხარკოვი) | 38 | 6 | 13 | 19 | 25—56 | 25 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 36 | 4 | 11 | 21 | 39—78 | 19 |

# სიურპრიზები გრძელდება

ბაქოში სსრ კავშირის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატზე ადგილი აქვს საკმაოდ მოულოდნელ შედეგებს, სიურპრიზებს. აღიარებულმა ფავორიტებმა განიცადეს დამარცხება ნაკლებად ცნობილ მოჭადრაკეებთან.

მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბიკოვამ პირველთანრიგოსან კაზმინასთან ვერაფერი გააწყო. მისი პოზიცია თანდათან საეჭვო ხდებოდა და ბოლოს ახალგაზრდა მოჭადრაკემ აიძულა ძლიერი მეტოქე დანებებულიყო.

შესანიშნავად წარმართა შეხვედრა თბილისელმა ივანოვამ საერთაშორისო ოსტატ ზვორიკინასთან. დებიუტანტი არ შეუშინდა მოწინააღმდეგის სახელს, გამოცდილებას და დასჯაბნა იგი. ზვორიკინას უკვე მეორედ მოუხდა პარტიის დათმობა.

ენერგიულ წინსვლას განაგრძობს პიატიგორსკელი ოსტატი კოზლოვსკაია, რომელმაც საანგარიშო ტურში მოუგო ესტონეთის ჩემპიონს, რანიკუს. შადურა დამარცხდა კანტოროვიჩთან.

პოსტნიკოვა-კუშნირისა და როტარე-ვოლპერტის პარტიები ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

გადადებულ პარტიებში საქართველოს ჩემპიონი ჩაიკოვსკაია უპირატესობას ინარჩუნებს დმიტრიევასთან. ჩაიკოვსკაიას ფიგურები მწვავედ უტევენ მოწინააღმდეგის გახიზნულ მეფეს. თანაბარი მდგომარეობაა კაკაბაძე-ბელავენეცის პარტიაში.

III ტურის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო ვ. კოზლოვსკაიამ — 2,5 ქულა.

## იუგოსლაველთა წვრთნა

ჩვენს ქვეყანაში სტუმრად მყოფმა იუგოსლავიის სტუდენტ წყალბურთელთა ნაკრებმა გუნდმა განმეორებითი შეხვედრა ჩაატარა მოსკოვის სტუდენტთა ნაკრებთან. მატჩი დამთავრდა ფრედ—2:2. ამის შემდეგ იუგოსლაველი სპორტსმენები ეწვივნენ ლენინგრადს და აქ შეხვდნენ ადგილობრივ წყალბურთელებს. თამაში მოიგეს სტუმრებმა — 5:3.

ხვალ იუგოსლავიის გუნდი თბილისში შეხვდება „ბურევესტნიკის" კოლექტივს.

# ი. კუპერმან - ბაბა სის მატჩი

ამ დღეებში მოსკოვში დაიწყება მსოფლიო პირველობა ასუჭრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონ საბჭოთა გროსმაისტერ ისერ კუპერმანსა და სენეგალელ გროსმაისტერ ბაბა სის შორის. მატჩში მოწინააღმდეგენი 20 პარტიას გაითამაშებენ.

შაშში მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლას ხანგრძლივი ისტორია აქვს. იგი იწყება გასული საუკუნის დამლევიდან. აი მსოფლიო ჩემპიონების სახელები:

ისიდორ ვეისი (საფრანგეთი) — 1895-1912 წწ, გერმან გოოგლანდი (ჰოლანდია) — 1912-1925 წწ, სტანისლავ ბიზო (საფრანგეთი) — 1925-1926 წწ, მარიუს ფაბრი (საფრანგეთი) — 1926-1928 წწ, ბენევიდ ტუს შპრინგერი (ჰოლანდია) — 1928-1934 წწ, მორის რეიჰენბაკი (საფრანგეთი) — 1934-1945 წწ, პიტ როზენბურგი (ჰოლანდია) — 1945-1948 წწ, მარსელ დელორე (კანადა) — 1956-1958 წწ, ისერ კუპერმანი (საბჭოთა კავშირი) — 1958-1960 წწ, ვიაჩესლავ შჩეგოლევი (საბჭოთა კავშირი) — 1960-1961 წწ, ისერ კუპერმანი (საბჭოთა კავშირი) — 1961-1963 წწ.

1956 წლამდე ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის სახელისათვის ძირითადად მიმდინარეობდა ფრანგ და ჰოლანდიელ მოშაშეთა შორის. ამ „ტრადიციას" ბოლო მოუღო 1965 წლის ოლიმპიურმა ტურნირმა, რომელშიც მსოფლიო ჩემპიონის სახელი მოიპოვა კანადელმა გროსმაისტერმა მ. დელორემ. კანადელის გამარჯვება ისევე ბრწყინვალე იყო, როგორც მოულოდნელი. საპატიო ტიტულმა პირველად დატოვა ევროპა. ჰოლანდიის პარლამენტში ნიდერლანდების დედოფალმა იულიანამ გამარჯვებულს ოქროს მედალი გადასცა, ხოლო ორი წლის შემდეგ იმავე პარლამენტში გაისმა საბჭოთა კავშირის ჰიმნის ჰანგი — კიეველი ინჟინერის ისერ კუპერმანის გამარჯვების აღსანიშნავად.

1958 წელს კუპერმანმა მატჩი მოუგო ჰოლანდიელ გ. ვან-დეიკს და შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონობა. 1960 წლის ოლიმპიურმა ტურნირმა წარმატება მოუტანა მოსკოველ 19 წლის ვ. შჩეგოლევს. ერთი წლის შემდეგ კუპერმანმა მატჩ-რევანშით დაიბრუნა დაკარგული ტიტული. გასულ წელს ლიეჟში (ბელგია) პრეტენდენტთა ტურნირზე გაირკვა მსოფლიო ჩემპიონობის ახალი პრეტენდენტი — აფრიკელი ზანგი გროსმაისტერი ბაბა სი.

რა შეიძლება ითქვას მატჩის მონაწილეების შესახებ? მსოფლიო ჩემპიონი პოზიციური თამაშის მოტრფიალეა. იგი შეუდარებელი სტრატეგია. რასაკვირველია, მისთვის არც კომბინაციური ოსტატობაა უცხო. კუპერმანის შემოქმედება დაფუძნებულია პოზიციური და კომბინაციური თამაშის პრინციპების ლოგიკურ კავშირზე.

28 წლის სენეგალელი გროსმაისტერის სპორტული ბიოგრაფია გამოირჩევა საგულისხმო გამარჯვებებით. შეიძლება ითქვას, რომ ბაბა სის სპორტული გზა ყვავილებითაა მოფენილი.

ბაბა სი ყოველთვის მიისწრაფის გართულებებისაკენ. იგი შესანიშნავი ტაქტიკოსია, სწრაფად და ძალიან შორს ანგარიშობს ყველაზე რთულ ვარიანტებს. ბაბა სის მხარესაა ახალგაზრდობა (იგი 13 წლით უმცროსია კუპერმანზე), კუპერმანის მხარეს კი — გამოცდილება.

რა უფრო ძლიერია — სტრატეგია თუ ტაქტიკა, ახალგაზრდობა თუ გამოცდილება? ძნელი სათქმელია. მეტოქენი ერთმანეთის ღირსნი არიან.

**ი. კოზლოვი,**
**საბჭოთა კავშირის შაშის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი.**





ამ დღეებში საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აღნიშნავს თავისი არსებობის 25 წლისთავს. ამ თარიღს ინსტიტუტის კათედრები მნიშვნელოვანი წარმატებით ხვდებიან. სურათზე ზევით — ძალოსნობის კათედრის სხდომა. ქვევით — პრაქტიკული მეცადინეობა ფიზიოლოგიის კათედრაზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

## მასობრივი ფიზკულტურა რაიონებში

### ქუთაისი

ქუთაისის ჭიდაობის ცენტრალურ დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა ქალაქის პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. ასპარეზობა ჩატარდა უმცროს და უფროს ასაკობრივ ჯგუფებში.

უფროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ო. თავართქილაძემ, ი. ცხვირაშვილმა, ა. თავდიდიშვილმა, თ. ქურციკიძემ, რ. ჭუპრაშვილმა (ყველა „დინამო"), ი. რიაბკომ, ბ. ბერულავამ, დ. ნელ-კინმა (ყველა „ლოკომოტივი"), ო. ხინაკაშვილმა და რ. გელაშვილმა (ორივე „განთიადი").

უმცროსი ასაკის ჭაბუკთა შორის ჩემპიონები გახდნენ: რ. ცხადაძე, ს. სულაბერიძე, ს. ქარაზანაშვილი, რ. გაგულაშვილი, გ. ონიანი (ყველა „ლოკომოტივი"), ა. ტყაბლაძე, ა. გონჩაროვი, დ. ნიჟარაძე, მ. სულაკაძე (ყველა „დინამო"), ვ. წურწუმია და ს. თეთრუაშვილი (ორივე „განთიადი").

• • •

ქუთაისში ჩატარდა კალათბურთელთა შეჯიბრება მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46 წლისთავისადმი. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ „განთიადის", „სპარტაკის", „ბურევესტნიკისა" და განათლების განყოფილების კოლექტივები. ტურნირი მიმდინარეობდა ორ წრედ.

შეჯიბრება ქულათა თანაბარი რაოდენობით დაამთავრეს „განთიადისა" და განათლების განყოფილების კალათბურთელებმა. უძლიერესის გამოსავლენად მათ შორის დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, რომელიც მოიგო „განთიადმა"—51:45.

**ი. ბუხაიძე**

### გორი

გორის ბამბეულის ქსოვილების კომბინატის სტადიონზე ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა 1963 წლის საქალაქო პირველობა ფეხბურთში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ გორის პედაგოგიური ინსტიტუტის, საკონსერვო ქარხნის, ბამბეულის ქსოვილების კომბინატის, სპორტული სკოლისა და სხვა წარმოება-დაწესებულებათა ნაკრები გუნდები, რომლებიც დაყოფილი იყვნენ ორ ქვეჯგუფად. ქვეჯგუფებში I-II ადგილებზე გამოსული გუნდებისაგან შედგა ფინალური ჯგუფი. მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა ბამბეულის კომბინატის გუნდმა, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა გორის 1963 წლის ჩემპიონის სახელწოდება. მეორე ადგილზე გამოვიდა პედაგოგიური ინსტიტუტის გუნდი, მესამეზე — სპორტული სკოლა.

**ნ. არაბული**

### თბილისი

თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. ელმავალმშენებელი ქარხნის ფიზკულტურის საბჭომ ქარხნის საუკეთესო სპორტსმენებისათვის მოაწყო 50-კაციანი ტურისტული ლაშქრობა ხრამის მიდამოში. აქ ორი დღის განმავლობაში არ შეწყვეტილა სპორტსმენთა გართობა-თამაშობანი. მოეწყო შეჯიბრება სპორტის რამდენიმე სახეობაში. განსაკუთრებით დაძაბულად მიმდინარეობდა მოჭადრაკეთა შეჯიბრება, რომელიც ოლიმპიური სისტემით ჩატარდა. კარგად ჩაატარა ყველა შეხვედრა მონტიორმა რ. უსტიანცმა.

ყველაზე მეტი მონაწილე მაინც მძლეოსნობამ მიიზიდა, რომელშიც მონაწილეობდა 41 კაცი. ქალთა შორის 100 მ რბენასა და სიგრძეზე ხტომაში გაიმარჯვა მექანიკური საამქროს ნორმადარმა ვ. თეთრაძემ. ვაჟთა შორის 100 მ რბენა მოიგო სამშენებლო-შემკეთებელი საამქროს მუშამ ჯ. გუგეშაშვილმა, ხოლო სიგრძეზე ხტომაში გამარჯვებული გამოვიდა ქარხნის სპორტის ვეტერანი გ. ქრისტინაშვილი.

ლაშქრობა ძალზე საინტერესოდ ჩატარდა. კარგი იქნება, თუ ასეთ კარგ ღონისძიებებს უფრო ხშირად მოვაწყობთ და მასში უფრო მეტად ჩავაბამთ მუშა-მოსამსახურეებს.

**შ. ელოევი,**
**ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე.**

### დუშეთი

ამ დღეებში დუშეთში ჩატარდა სპორტსაზოგადოება „კოლმეურნის" რაიონული კონფერენცია. საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საზოგადოების თავმჯდომარე მ. კარიაული. მოსმენილ იქნა აგრეთვე სარევიზიო კომისიის ანგარიში (ვ. შალაშვილი).

კონფერენციამ „კოლმეურნის" დუშეთის რაისაბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ამხ. მ. კარიაული.

**ვ. ღურბელაშვილი**





თბილისის საკონდიტრო კომბინატში ბევრი სპორტული სექცია მეცადინეობს. მათ შორის გამოირჩევა ხელბურთისა და ჭადრაკის სექციები.

სურათებზე: ინსტრუქტორი გ. ნაცვალაძე ხელბურთელებს ასწავლის ბურთის ტყორცნის ტექნიკას. ქვევით — მოჭადრაკეები არჩევენ საინტერესო პარტიას.

ფოტო დ. იაკობაშვილისა.

# ორი მილიონი

### პროფკავშირები ზრდიან სპორტსმენებს

★

სტადიონის ტრიბუნიდან ყოველთვის აღტაცებით ვადევნებთ თვალს ბრუმელის, ტერ-ოვანესიანის, ვლასოვის, დები პრესებისა და სხვა სახელმოხვეჭილი სპორტსმენების გამოსვლას, ვიწერთ მათ შედეგებს. მაინტერესებს მათი ბიოგრაფია — სპორტული გზის დასაწყისი. აღმოჩნდა, რომ, როგორც წესი, თითქმის ყველა „ვარსკვლავმა" სპორტში პირველი ნაბიჯები გადადგა იქ, სადაც მუშაობდა ან მუშაობს — ქარხნებში, ფაბრიკებში, დაწესებულებებში ან სკოლაში პირველად სპორტულ ორგანიზაციაში.

საბჭოთა პროფკავშირები ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რათა ჩვენი ქვეყნის საწარმოებში ჩამოყალიბებული იყოს ფიზკულტურული კოლექტივი. საკმარისია ითქვას, რომ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი ორჯერ გაიზარდა და 78 ათასს მიაღწია, მათში მომეცადინეთა რიცხვი 16 მილიონ კაცს შეადგენს.

წარმოებაში თითქმის ყველა ფიზკულტურულ და სპორტულ მუშაობას ატარებენ საზოგადოებრივი ინსტრუქტორები, კოლექტივების წევრები, ადამიანები, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი და ჰქონდათ სპორტში კარგი შედეგები.

ისინი ძალზე ბევრნი არიან და მე იძულებული ვარ კვლავ მივმართო ციფრებს. პროფკავშირების სპორტულ ორგანიზაციებში საზოგადოებრივი მწვრთნელების რიცხვი 784 ათასს აღწევს, ხოლო სპორტული მსაჯებისა—600 ათასს. ამას უნდა დავუმატოთ ასობით ათასი აქტივისტი, რომლებიც ატარებენ ჩვენი ქვეყნის 40 ათას საწარმოში ტანვარჯიშს.

მოსკოვის ახლო მდებარე „ლაკოკრასკის" ქარხანაში გამაცნეს ტექნოლოგი შუსტიკოვი. ეს კაცი მძლეოსნობითაა გატაცებული და სამუშაოდან თავისუფალ საათებში ერთი წლის განმავლობაში მან მოამზადა 13 თანრიგოსანი. ფიზკულტურის კოლექტივების საქმიანობას წარმართავენ საბჭოები, რომლებშიც, როგორც წესი, ირჩევენ ყველაზე უფრო ენერგიულ და ინიციატივიან ადამიანებს. საბჭოები მუშაობენ საფაბრიკო-საქარხნო ან პროფკავშირების ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობით.

საზოგადოებრიობის მოღვაწეობის სფერო ძალზე ფართოა და განუსაზღვრელი. ისინი ქმნიან სპორტულ სახეობათა სექციებს და ატარებენ მათთან მუშაობას. მართავენ შეჯიბრებებსა და სპორტულ დღესასწაულებს, ზრუნავენ არსებული სტადიონების შენახვისათვის, აქტიურად მონაწილეობენ სპორტული მოედნების მშენებლობაში, აწყობენ ტურისტულ ლაშქრობებს, თევზჭერასა და სანადიროდ გასვლას.

მაგრამ იმისათვის, რომ საზოგადოებრივმა მუშაკმა იმეცადინოს სპორტსმენებთან, მას უნდა ჰქონდეს წვრთნის მეთოდიკის საჭირო ცოდნა. ამიტომაა, რომ პროფკავშირები და სპორტული ორგანიზაციები დიდ ყურადღებას უთმობენ აქტივის სწავლებას, ყველაზე გავრცელებულ ფორმად ითვლება სემინარები, რომლებიც ეწყობა სპორტულ ბაზებზე, კულტურის სასახლეებში და წარმოებებში. საზოგადოებრივი მუშაკები ისმენენ ლექციებს სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების, ადამიანის ორგანიზმის აგებულებისა და ფუნქციების, ჰიგიენის, საექიმო კონტროლის, წვრთნის მეთოდიკის საფუძვლების, შეჯიბრებათა ორგანიზაცია-ჩატარების, სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ. თეორიულ ნაწილს უკავია მხოლოდ ერთიმესამედი 80-საათიანი სასწავლო გეგმისა. სწავლების დიდ ნაწილს მსმენელები გამოცდილი მწვრთნელების ხელმძღვანელობით ატარებენ საფეხბურთო მინდორზე, სარბენ ბილიკებზე, საწყლოსნო აუზში ან ფრენბურთის მოედანზე, იმის მიხედვით, თუ სპორტის რომელ სახეობას ეძღვნება სემინარი.

ამას გარდა, უკანასკნელ დროს პროფკავშირები და სპორტული ორგანიზაციები ნიჭიერ საზოგადოებრივ ინსტრუქტორებს აგზავნიან მწვრთნელთა ორწლიან სკოლებში. უკანასკნელ წლებში სულ უფრო ხშირად გვხვდება სახელწოდება — „ფიზკულტურისა და სპორტის საზოგადოებრივი ბიურო". ასეთი

# თანამემწე

ბიუროები შექმნილია პროფკავშირების ბევრ საოლქო კომიტეტებთან, რომლებიც ემსახურებიან მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშებს, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის მუშაკებს. მათ საქმიანობაში მონაწილეობს ათასობით აქტივისტი, რომლებსაც მჭიდრო კავშირი აქვთ საფაბრიკო-საქარხნო, ადგილობრივ კომიტეტებთან და პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებებთან. ბიუროები უკარნახებენ ფიზკულტურულ კოლექტივებს, როგორ უნდა დააღწიონ თავი ჩამორჩენას მშრომელთა ფიზიკურ აღზრდაში, როგორ მოაწყონ საქმე, რომ ადამიანთა ჯანმრთელობის ამ საუკეთესო საშუალებაში ჩაბმულ იქნას რაც შეიძლება მეტი მშრომელი.

ქვემოთ მოვიყვან ომსკის პროფკავშირების სამრეწველო საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის განყოფილების ანგარიშიდან ერთ მაგალითს. ამ ორგანომ დაამყარა რა საქმიანი კონტაქტი სახალხო მეურნეობის ადგილობრივ საბჭოსთან და სხვა დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, შეძლო წარმოებებში ფართოდ დაენერგა საწარმოო ტანვარჯიში, ბევრი გააკეთა იმისათვის, რომ მაღალ დონეზე ჩატარებულიყო საოლქო სპარტაკიადები, დაეხმარა პროფკავშირულ და სპორტულ ორგანიზაციებს სტადიონების წესრიგში მოყვანაში. გასულ ზაფხულს მისი ინიციატივით ომსკში ჩამოყალიბდა ბავშვთა სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკი, რომელშიც დაისვენა 500-მდე ჭაბუკმა და გოგონამ.

მოვიყვან კიდევ ერთ ციფრს: დღეისათვის აქტივისტების არმია შედგება 2 მილიონი კაცისაგან. ამ ადამიანთა ენერგია მიმართულია იმისკენ, რათა ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ შეიყვაროს სპორტი, გაიკაჟოს ჯანმრთელობა, რომ უფრო შრომისუნარიანი იქნეს თავის სამუშაო ადგილზე. რომ ყოველ ქარხანაში, ყოველ დაწესებულებასა და სასწავლებელში ჩამოყალიბდეს ფიზკულტურის კომიტეტი, სადაც პირველ ნაბიჯებს გადადგამენ მომავალი ბრუმელები, ვლასოვები და ლატინინები.

**ვ. ჩერნიხი,**
**„ახალი ამბების" სააგენტო.**

## შრომაშიც, სპორტშიც

ინგურჰესის მაღალთაღოვანი კაშხალის მშენებლობაზე სასახელო მაჩვენებლებს აღწევენ ჭაბუკები და ქალიშვილები, რომლებიც აქ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მოვიდნენ. მათ უყვართ ფიზკულტურა და სპორტიც. შექმნილია ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მძლეოსნობისა და სხვა სექციები, რომლებშიც 100-ზე მეტი ახალგაზრდაა გაერთიანებული. რეგულარულად ეწყობა შიდასაკოლექტივო ღონისძიებანი.

შრომასა და სპორტში განსაკუთრებით ისახელეს თავი ფრენბურთელებმა კ. ბურჯალიანმა, ვ. ბონდარენკომ, კალათბურთელებმა თ. მიქავამ, ტ. ბერძენიშვილმა, ფეხბურთელებმა ტ. გოგინაშვილმა, გ. ოდიშარიამ და სხვებმა. ახალგაზრდა მშენებლებს განზრახული აქვთ კიდევ უფრო სრულჰყონ თავიანთი სპორტული მომზადების დონე და არ ჩამორჩნენ შრომაშიც.

**ბ. ალშიბაია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სკოლა ზღვისპირა ქალაქში

გაგრა ყველაზე უფრო თბილი „წერტილია" შავი ზღვის სანაპიროზე. აქ მთელი წლის განმავლობაში მცხუნვარედ ანათებს მზე და შავი ზღვაც თითქმის 7 თვის მანძილზე მზადაა ცურვის მოყვარულთა მისაღებად. ერთი სიტყვით, გაგრას ყველა პირობა აქვს იყოს სპორტული ქალაქი.

აქაური ახალგაზრდები თითქმის შესვენების გარეშე მეცადინეობენ ფეხბურთში, კალათბურთში, მძლეოსნობაში, ცურვაში. მაგრამ, მაინც, ყველაზე უფრო პოპულარული სახეობა აქ ფარიკაობაა.

გაგრელ მოფარიკავეებს კარგად იცნობენ საქართველოში. რესპუბლიკის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე მათ ძლიერი კონკურენცია გაუწიეს თანატოლებს დედაქალაქიდან, რომლის გუნდის შემადგენლობაში იყვნენ მსოფლიოს ჩემპიონი იუნიორთა შორის ნ. ანდრიაძე, ესპადრონში ჭაბუკთა შორის სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაზე გამარჯვებული მ. ადეიშვილი, მ. ემმაკურაშვილი და სხვები. მოსწავლეთა ამ ასპარეზობაზე გაგრელებმა დაიკავეს საერთო მესამე ადგილი, ხოლო დაშნით მებრძოლებმა და რაპირისტებმა — მეორე საპრიზო ადგილი.

1950 წლიდან არსებობს გაგრაში ფარიკაობის სკოლა. ამ ხნის მანძილზე სკოლის აღზრდილები შვიდჯერ გახდნენ საქართველოს ჩემპიონები. უკანასკნელი წლების თითქმის ყველა ჩემპიონი აფხაზეთის მასშტაბით აღიზარდა გაგრაში. მარტო უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში აქ მომზადდა 12 პირველთანრიგოსანი, 30 მეორეთანრიგოსანი, 15 მესამეთანრიგოსანი, 10 საზოგადოებრივი მწვრთნელი.

მძიმე პირობებში დაიბადა სკოლა. ცოტა მღელვარება როდი გადაიტანა რ. ჯოლოგუამ, სკოლის დამაარსებელმა, რომელიც აგერ უკვე 13 წელია მისი შეუცვლელი მწვრთნელია. არ იყო დარბაზი და მისთვის პირველად გამოიყენეს ერთ-ერთი მაღაზიის სარდაფი. არ იყო იარაღი და კაკლის ხის ჯოხები ცვლიდნენ მას.

... როგორც კი სკოლაში უკანასკნელი ზარი გაისმის, აქეთკენ მოეშურებიან მოსწავლეთა ჯგუფები. მათ შორის ნახავთ როგორც 7-10 წლის ახალბედებს, ისე უკვე გამობრძმედილ „ვეტერანებს", რომლებსაც 16 წელი შესრულებიათ. ასეთია, მაგალითად, თ. ჭანტურია, რომელიც ახლახან გახდა აფხაზეთის ჩემპიონი.

100 ბავშვზე მეტი მეცადინეობს დღეს გაგრის სპორტული სკოლის ფარიკაობის სექციაში. მალე მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან, არსებული ტრადიციის მიხედვით, სკოლის ყოველმა აღსაზრდელმა თავისი ხუთი ამხანაგი უნდა მოიზიდოს სექციაში.

ვუსურვოთ ნორჩ გაგრელ სპორტსმენებს მომავალი დიდი წარმატებები.

**მ. შლაემი**

* * *





**სურათებზე:** მიმდინარეობს ფარიკაობის სექციის მორიგი მეცადინეობა, მარცხნივ — ფარიკაობის სექციის წევრები ს. და ქ. დოლიძეები.

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

---

**ჩ**ატარდა მორიგი მატჩები საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში იმ გუნდებს შორის, რომლებიც იბრძვიან I–X ადგილებისათვის.

**„ცისკარი" (ცხაკაია)-„სინათლე" (თბილისი) — 4:2. მსაჯი დ. ვაჩირიძე (თბილისი).**

თამაშს პირველივე წუთებიდან დაძაბული ხასიათი ჰქონდა, დაახლოებით მე-20 წუთისათვის ცხაკაიელებმა შეძლეს რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტის შექმნა, რომელთაგან ორი დაამთავრეს კარის აღებით, ხოლო თბილისელებმა მხოლოდ ტაიმის დასასრულს შეძლეს ერთი საპასუხო ბურთის გატანა. ანგარიში გათანაბრებულ იქნა შესვენების შემდეგ — 2:2, მაგრამ „ცისკარმა" მიიღო 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმის უფლება, რომელიც ზუსტად იქნა რეალიზებული და მასპინძლები კვლავ წინ გავიდნე. მატჩის ბოლოს გატანილმა კიდევ ერთმა ბურთმა მათ მოუტანა საბოლოო გამარჯვება — 4:2.

**„მერცხალი" (მახარაძე)-„მესხეთი" (ახალციხე) — 0:0. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მიუხედავად იმისა, რომ 90 წუთის განმავლობაში ბურთი არ გატანილა არც ერთი გუნდის კარში, თამაში საკმაოდ მწვავე, საინტერესო ბრძოლაში მიმდინარეობდა. მახარაძელებს მეორე ტაიმში საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა არ იქნა გამოყენებული — 0:0.

**„იმერეთი" (ქუთაისი)-„ოდიში" (ზუგდიდი) — 3:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).**

თამაში მიმდინარეობდა საკმაოდ ნელ ტემპში, საინტერესო მომენტების გარეშე. ქუთაისელებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში გაიტანეს 2 „მშრალი" ბურთი მოწინააღმდეგის კარში და ფაქტიურად უკვე ამ დროისათვის გაინაღდეს გამარჯვება. მეორე ტაიმში ორივე კარში გატანილ იქნა თითო ბურთი და ქუთაისელებმა გამარჯვებულებმა დატოვეს მინდორი — 3:1.

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„გურია" (ლანჩხუთი) — 2:1. მსაჯი ლ. ვერულიძე (ბათუმი).**

სტუმრებმა კარგად დაიწყეს თამაში, მიაღწიეს კიდეც წარმატებას და ტაიმის დასასრულამდე შეინარჩუნეს ანგარიში. შესვენების შემდეგ სტუდენტებმა შეძლეს გარდატეხის შეტანა თამაშში და საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 2:1. აღსანიშნავია, რომ ყოვლად აღმაშფოთებელი საქციელი ჩაიდინა ლანჩხუთელმა ფეხბურთელმა ლ. გორდელაძემ. მას შემდეგ, რაც მან სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მსაჯს, ეს უკანასკნელი იძულებული იყო ხულიგანი სპორტსმენი გაეძევებინა მინდვრიდან, მაგრამ ლ. გორდელაძე არ დაემორჩილა მსაჯის განკარგულებას და მატჩი შეწყდა 12 წუთით. იმედია, ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია სათანადო ზომებს მიმართავს თავაშვებული ფეხბურთელის წინააღმდეგ.

**„გურია" (ლანჩხუთი)-„მეშახტე" (ტყიბული) — 2:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).**

გუნდები შესვენებაზე წავიდნენ ისე, რომ ანგარიში არ გახსნილა — 0:0. მეორე ტაიმში „გურია" განუწყვეტლივ უტევდა მოწინააღმდეგეს, რაც საბოლოოდ ორჯერ დამთავრდა კარის აღებით. გაიმარჯვეს ლანჩხუთელებმა — 2:0.

**სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბილისი)-„მესხეთი" (ახალციხე) — 3:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

სტუდენტებს სრული უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში. „მესხეთმა" ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა მეტოქეს და დამარცხდა ანგარიშით 0:3.

**„ოდიში" (ზუგდიდი)-„მერცხალი" (მახარაძე) — 1:2. მსაჯი ა. ფეიქრიშვილი (თბილისი).**

სტუმრები განსაკუთრებული აღმავლობით და მონდომებით თამაშობდნენ პირველ ტაიმში, რომელიც მათ მოიგეს ანგარიშით 2:0. „ოდიშმა" მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო მდგომარეობის გამოსწორება, მაგრამ მახარაძელები თავგამოდებით იცავდნენ კარს და საბოლოოდ მასპინძლები დამარცხდნენ ანგარიშით 2:1.

**„ლოკომოტივი" (სამტრედია)-„ცისკარი" (ცხაკაია) — 3:2. მსაჯი თ. კანდელაკი (სამტრედია).**

ეს იყო მეტად ძნელი მატჩი ორივე მოწინააღმდეგისათვის. სამტრედიელებმა ერთი ბურთის უპირატესობას მიაღწიეს პირველ ტაიმში და შემდგომში შეძლეს მისი შენარჩუნება — 3:2.

**„სინათლე" (თბილისი)-„იმერეთი" (ქუთაისი) — 2:1. მსაჯი ო. ჯებაშვილი (რუსთავი).**

ლიდერთა შეხვედრა მეტად საინტერესო გამოდგა. თბილისელებმა პირველი ტაიმი დაამთავრეს თავიანთ სასარგებლოდ — 2:1. შესვენების შემდეგ ორივე გუნდი სრული ძალით იბრძოდა ბურთის გასატანად, მაგრამ ცვლილება ანგარიშში არ მომხდარა. გაიმარჯვა „სინათლემ" — 2:1.

* * *

შედგა მატჩები იმ გუნდებს შორისაც, რომლებიც მოხვედრილი არიან ცხრილის ქვედა ნახევარში. მოგვყავს მათი ტექნიკური შედეგები: ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი)-„დილა" (გორი) — 1:0, „განთიადი" (ბათუმი)-„დინამო" (სოხუმი) — 1:0, „დილა" (გორი)-„ისანი" (თბილისი) — 2:2, „წინსვლა" (წულუკიძე)-„შუქურა" (ჩაქვი) — 4:0, „მაღაროელი" (ჭიათურა)-„დურუჯი" (ყვარელი) — 3:2, „ნადიკვარი" (თელავი)-„კახეთი" (გურჯაანი) — 0:0, „მეტალურგი" (რუსთავი)-„განთიადი" (ბორჯომი) — 2:1, „სალხინო" (გეგეჭკორი)-ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 1:2. ზესტაფონის „მეტალურგი" არ გამოცხადდა ცხინვალში ადგილობრივ „მეტალურგთან" სათამაშოდ, რისთვისაც მას ჩაეთვალა დამარცხება.

აღნიშვნის ღირსია გორელ ფეხბურთელთა აღმაშფოთებელი საქციელი ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდთან მატჩში. ისინი მთელი თამაშის განმავლობაში ეკამათებოდნენ მსაჯს და საქმე იქამდეც მივიდა, რომ როცა მათ კარში სტუდენტებმა გაიტანეს გოლი, გუნდმა მთელი შემადგენლობით დემონსტრაციულად დატოვა მინდორი. გორის ფეხბურთელთა ეს საქციელი სათანადო დასკვნების გამოტანას მოითხოვს.

* * *

თბილისის „ბურევესტნიკის" სტადიონზე გაიმართა მატჩი ზუგდიდის „სამეგრელოსა" და მაიაკოვსკის „საირმეს" შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „სამეგრელომ", რომელიც 1964 წელს რესპუბლიკურ პირველობაზე ითამაშებს I ჯგუფში.

---

### საქართველოს სსრ 1963 წლის პირველობის ფინალური გათამაშების ცხრილები

#### I-X ადგილებისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სინათლე" თბილისი | 34 | 20 | 6 | 8 | 68—46 | 46 |
| „მეშახტე" ტყიბული | 34 | 18 | 8 | 8 | 66—41 | 44 |
| „იმერეთი" ქუთაისი | 30 | 19 | 5 | 6 | 63—24 | 43 |
| სას. სამ. ინსტ. თბილისი | 30 | 14 | 14 | 2 | 52—24 | 42 |
| „მერცხალი" მახარაძე | 34 | 13 | 16 | 5 | 52—27 | 42 |
| „მესხეთი" ახალციხე | 32 | 18 | 6 | 8 | 60—38 | 42 |
| „გურია" ლანჩხუთი | 33 | 17 | 7 | 9 | 57—35 | 41 |
| „ლოკომოტივი" სამტრედია | 33 | 16 | 7 | 10 | 64—39 | 39 |
| „ცისკარი" ცხაკაია | 34 | 13 | 12 | 9 | 64—47 | 38 |
| „ოდიში" ზუგდიდი | 33 | 14 | 6 | 13 | 57—50 | 34 |

#### XI-XXVIII ადგილებისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა" გორი | 31 | 11 | 14 | 6 | 40—33 | 36 |
| „მეტალურგი" ზესტაფონი | 30 | 14 | 7 | 9 | 42—34 | 35 |
| „შუქურა" ჩაქვი | 31 | 14 | 7 | 10 | 47—42 | 35 |
| ფიზკ. ინსტ. თბილისი | 31 | 14 | 6 | 11 | 42—37 | 34 |
| „მაღაროელი" ჭიათურა | 31 | 13 | 6 | 12 | 54—44 | 32 |
| „შახტიორი" ტყვარჩელი | 30 | 10 | 12 | 8 | 46—42 | 32 |
| „ნადიკვარი" თელავი | 31 | 10 | 10 | 11 | 51—53 | 30 |
| „განთიადი" ბათუმი | 30 | 12 | 6 | 12 | 34—38 | 30 |
| „განთიადი" ბორჯომი | 31 | 7 | 13 | 11 | 27—39 | 27 |
| „წინსვლა" წულუკიძე | 30 | 7 | 12 | 11 | 38—44 | 26 |
| „სპარტაკი" ცხინვალი | 31 | 7 | 9 | 15 | 43—69 | 23 |
| „ისანი" თბილისი | 30 | 7 | 8 | 15 | 24—48 | 22 |
| „სალხინო" გეგეჭკორი | 31 | 8 | 6 | 17 | 50—71 | 22 |
| „დინამო" სოხუმი | 31 | 5 | 11 | 15 | 22—40 | 21 |
| „დურუჯი" ყვარელი | 30 | 5 | 10 | 15 | 41—65 | 20 |
| „მექანიზატორი" ფოთი | 31 | 4 | 8 | 19 | 31—55 | 16 |
| „კახეთი" გურჯაანი | 31 | 2 | 10 | 19 | 20—71 | 14 |
| „მეტალურგი" რუსთავი | 30 | 4 | 5 | 21 | 31—83 | 13 |

---

## ცვლილებები კალენდარში

იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთში საგრძნობლად აცივდა, მონაწილე გუნდების მგზავრობა გაძნელდა, საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ კვლავ შეიტანა ცვლილებები ფეხბურთში სსრ კავშირის ჩემპიონატის კალენდარში. ამ ცვლილებათა შედეგად დასკვნითი მატჩების კალენდარი გამოიყურება შემდეგნაირად:

**20 ნოემბერი.** „დინამო" (თბილისი)-„დინამო" (კიევი).

**22 ნოემბერი** — „კრ. სოვეტოვი"-ცსკა, „ტორპედო" (ქუთაისი)-„პახტაკორი", „ნეფტიანიკი"-„სპარტაკი".

**23 ნოემბერი.** „დინამო" (მოსკოვი)-„შახტიორი", „ტორპედო" (მოსკოვი)—„დინამო" (თბილისი).

**24 ნოემბერი.** „მოლდოვა"-„დინამო" (კიევი).

**25 ნოემბერი.** ცსკა-„დინამო" (ლენინგრადი), „არარატი"-სკა (როსტოვი).

**26 ნოემბერი.** „დინამო" (თბილისი)-„ლოკომოტივი", „სპარტაკი"-„პახტაკორი", „კაირატი"-„დინამო" (მოსკოვი).

**27 ნოემბერი.** „დინამო" (კიევი)-„ტორპედო" (მოსკოვი), „მოლდოვა"-„კრ. სოვეტოვი".

**29 ნოემბერი.** „ტორპედო" (ქუთაისი)-„დინამო" (მოსკოვი).

---

## კალინინის „ვოლგა" „ა" კლასში

ქ. ორჯონიკიძეში დამთავრდა რსფსრ-ს ჩემპიონატი ფეხბურთში. ტურნირში მონაწილეობდნენ სერპუხოვის „ვოლგა", კიროვის „დინამო", ტვერსკის „ზენიტი" და კალინინის „ვოლგა". გარდა იმისა, რომ გათამაშებას უნდა გამოევლინა რესპუბლიკის ჩემპიონი, პირველ ადგილზე გამოსული გუნდი უფლებას ღებულობდა 1964 წელს მონაწილეობა მიეღო სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის II ქვეჯგუფში.

ჩემპიონი გამოვლინდა მხოლოდ ტურნირის ბოლო დღეს. პირველი ადგილი დაიკავა კალინინის „ვოლგამ", რომელიც გაისად გადავა „ა" კლასში.



ტამბოვის ოლქის სოფელ კირსანოვსკის საშუალო სკოლაში 200 ბავშვი ჩაბმულია ტანვარჯიშის სექციაში, მოსწავლეები ხშირად გამოდიან რაიონულ შეჯიბრებებში და საპრიზო ადგილებს იკავებენ. **სურათზე:** ტანვარჯიშის ენთუზიასტი, ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი ო. კოლიასტრუკი ორძელზე ამეცადინებს მეათეკლასელ ტ. ვლოვინას.

ფოტო პ. ლისენკინასი.

# ნოკაუტირებული მსაჯულები

ერთ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა ეს პროცესი. საბრალმდებლო სკამზე იჯდა ჰანს ლაუფერსვეილერი — დასავლეთ გერმანიის პროფესიულ მოკრივეთა კავშირის პრეზიდენტი. სასამართლოს გადაწყვეტილებით მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 თვის ვადით და ფულადი ჯარიმა 2.000 მარკის ოდენობით. ამის მიუხედავად დასავლეთ გერმანიის პრესა დაცინვით აცხადებს, რომ პროკურორმა და მსაჯულებმა ამ პროცესში ღრმა ნოკაუტი მიიღეს. გავეცნოთ საქმის მდგომარეობას და დავრწმუნდეთ, რომ ეს მტკიცება არ არის საფუძველს მოკლებული.

დასავლეთ გერმანიის პროფესიონალ მოკრივეთა კავშირი უმდიდრესი სპორტული გაერთიანებაა გფრ-ში. მის სალაროში შემოდის პროფესიონალ მოკრივეთა ყოველი მატჩიდან ორი პროცენტი. და აი უცებ, მოულოდნელი რევიზიის შედეგად სალაროში აღმოჩნდა მხოლოდ... ერთი მარკა და 75 პფენინგი.

როგორც გამოირკვა, კავშირის პრეზიდენტმა ჰანს ლაუფერსვეილერმა უკანასკნელ ხანებში 60 ათასამდე მარკა მიითვისა. რამდენიმე თვის მანძილზე სასამართლო ცდილობდა ჩასწვდომოდა პრეზიდენტის მაქინაციათა არსს, მაგრამ გარეშე ძალების ზეგავლენით გამომძიებელთა ენერგია სწრაფად დაცხრა. 50-ათასიანმა ბემ პრეზიდენტი საპატიმროდან გარეთ გამოიყვანა, თუმცა მსაჯულებმა მას მიუსაჯეს პატიმრობა და ჯარიმა. პრეზიდენტისათვის ჯარიმის გადახდა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, ხოლო დასავლეთ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად ხუთთვიანი პატიმრობის შეცვლა შესაძლებელია ჯარიმით და აი პრეზიდენტმა გაიმეტა ფულები. დაზარალებულ მოკრივეთა ხარჯზე, რომლებსაც არასდროს არ მიუღიათ დახმარება ან პენსია კავშირისაგან, ეს კომბინატორი კვლავ თავისუფალია.

# პირველიდან მეხუთემდე

სპორტის ზამთრის სახეობანი ოლიმპიური თამაშების პროგრამაში პირველად 55 წლის წინათ იქნა შეტანილი. 1908 წელს ლონდონში გამართულ IV ოლიმპიადაზე მაყურებლებმა ნახეს ფიგურისტებისა და ჰოკეისტთა საჩვენებელი გამოსვლები. წინაოლიმპიურ თამაშებზე კი ზამთრის სახეობები არ იყო წარმოდგენილი, რადგან სათხილამურო და საციგურაო სპორტი ყველა ქვეყანაში როდი იყო განვითარებული. სპორტის ზამთრის სახეობები ოლიმპიადის პროგრამაში ოფიციალურად შეტანილი იქნა ანტვერპენის VII ოლიმპიურ თამაშებზე 1920 წელს. 1921-22 წლებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე წინადადებით გამოვიდა მოკის პრეზიდენტი პიერ დე კუბერტენი, მაგრამ ორჯერვე მისი წინადადება, — შემოეღოთ ზამთრის ოლიმპიური თამაშები, ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა შვეციისა და ნორვეგიის წარმომადგენელთა მხრიდან. საქმე იმაში იყო, რომ ამ ქვეყნების სპორტის მესვეურნი მონაწილეობდნენ რა ჩრდილოეთის ტრადიციულ თამაშებში, ფიქრობდნენ, რომ საჭირო აღარ იყო კიდევ ერთი თამაშები. ამასთან ისინი თვლიდნენ, რომ ზამთრის სახეობანი არ არის ოლიმპიური სახეობებიო.

ბოლოს უთანხმოება თეთრი ოლიმპიადების ჩატარების მომხრეთა სასარგებლოდ გადაწყდა და 1924 წლის იანვარში, საფრანგეთის საკურორტო ქალაქ შამონში ზამთრის პირველ თამაშებზე თავი მოიყარა ევროპისა და ამერიკის 16 ქვეყნის 203 სპორტსმენმა. ამ ღონისძიებას ჯერ კიდევ ვერ უწოდეს „ოლიმპიური". ეს იყო ერთგვარი დათმობა სკანდინაველთა მიმართ. ზამთრის პირველი თამაშების პროგრამაში იყო ფიგურული სრიალი, ჰოკეი, სათხილამურო და საციგურო სპორტი, ბობსლეი. საჩვენებელი შეხვედრები გაიმართა სამხედრო საგუშაგო რბოლასა და კერლინგში (კეგლი ყინულზე).

შამონის თამაშები დამთავრდა ნორვეგიელთა ბრწყინვალე გამარჯვებით. მათ მოიპოვეს ყველაზე მეტი — 18 მედალი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ფინელები, მესამეზე — აშშ. თამაშების გმირი იყო ნორვეგიელი მოთხილამურე ტ. ჰაუგი, რომელმაც სამი ოქროსი და ერთი ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა. ამ წარმატებისათვის მას სამშობლოში — კონგსბერგში სიცოცხლეშივე აუგეს ძეგლი. თავისებური რეკორდი დაამყარეს კანადელმა ჰოკეისტებმა, რომლებმაც მოწინააღმდეგეთა კარში გაიტანეს 100 შაიბა, ხოლო საკუთარში მიიღეს მხოლოდ 3.

მეორე ოლიმპიური თამაშების პროგრამას დაემატა სკელეტონი — მარხილებით მთიდან დაშვება. აქაც გამარჯვებული გამოვიდნენ ნორვეგიელები. მათ ორჯერ მეტი ქულა მოაგროვეს, ვიდრე ამერიკელებმა. მეორე ოლიმპიადაზე 39 მედლიდან სკანდინაველებმა დაისაკუთრეს 23. საუკეთესო სპორტსმენად აღიარებულ იქნენ მოციგურე კ. ტუნბერგი და მოთხილამურე ი. გრეტუმსბორტენი. სანკტ-მორიცაში პირველი ოქროს მედალი მოიპოვა ნორვეგიელმა ფიგურისტმა ქალმა ს. ჰენიმ.

ზამთრის მესამე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის ტიტულისათვის საბრძოლველად ევროპელებს (1932 წელს) წასვლა მოუხდათ ოკეანის იქით. აშშ-ს სოფელ ლეიკ-პლესიდში თებერვალში გაიმართა მორიგი თამაშები. ამჯერად გამარჯვებისათვის იბრძოდა 17 ქვეყნის 300 სპორტსმენი. თამაშები ცუდად იყო ორგანიზებული. ფაქტად ისიც კმარა თუ ვიტყვით, რომ ოლიმპიადის საბოლოო შედეგები შეჯამდა მისი დამთავრებიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგ.

ლეიკ-პლესიდში წაიფორხილეს პირველად ნორვეგიელებმა — დამარცხდნენ ამერიკელებთან და მეორე ადგილი მოიპოვეს. მესამე ადგილზე გამოვიდნენ კანადელები. აქ დამარცხებისათვის ნორვეგიელებმა რევანში აიღეს მორიგ, მეოთხე ოლიმპიადაზე, რომელიც 1936 წლის თებერვალში გაიმართა გარმიშ-პარტენკირჰენში (გერმანია).

IV თეთრი ოლიმპიადა მიმდინარეობდა რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, მეორე მსოფლიო ომის წინ. გერმანიის ხელისუფლების სათავეში მოქცეული ნაცისტები ცდილობდნენ ოლიმპიური თამაშები გამოეყენებინათ ფაშისტური წყობის პროპაგანდისათვის. მათ თავიანთი ოლიმპიური გუნდის მომზადებისათვის უდიდესი თანხა დახარჯეს. ვარაუდობდნენ რა გამარჯვებას მათი აზრით ამით ცხადყოფდნენ არიული რასის უპირატესობას. ფაშისტების სახელმწიფოში თამაშების ჩატარების პროტესტის ნიშნად ბევრმა სპორტსმენმა მონაწილეობა არ მიიღო ოლიმპიადაში.

გერმანელ ნაცისტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. საერთო გუნდურ არაოფიციალურ ჩათვლაში გამარჯვება წილად ხვდათ ნორვეგიელებს, ხოლო პირად ჩათვლაში თამაშების გმირად გამოცხადებული იქნა ნორვეგიელი ი. ბალანგრუდი. მან 3 პირველი და 1 მეორე ადგილი მოიპოვა ციგურაობაში, ხოლო ს. ჰენიმ მესამედ დაისაკუთრა ჩემპიონობა ფიგურულ სრიალში.

მეორე მსოფლიო ომმა დროებით შეწყვიტა ოლიმპიური თამაშები, რომელიც განახლდა 1948 წელს. 12-წლიანი შესვენების შემდეგ ზამთრის სახეობათა წარმომადგენლები კვლავ შეიკრიბნენ ოლიმპიურ თამაშებზე აშშ-ში, სანკტ-მორიცში, იქ, სადაც 20 წლის წინათ გაიმართა მეორე ოლიმპიადა.

ამჯერად შვედებმა ორი ქულით გაასწრეს შვეიცარიელებს, მასპინძლები მესამე ადგილით დაკმაყოფილდნენ.

V თეთრი ოლიმპიადა გაიმართა ოსლოში (ნორვეგია). ეს იყო ზამთრის სახეობათა ნამდვილი დღესასწაული, რომლის სტარტზე გამოვიდა ევროპის, ამერიკის, აზიისა და ავსტრალიის 30 ქვეყნის 960 სპორტსმენი. ამასთან ეს იყო პირველი ღონისძიება, რომელიც დიდ ქალაქში ჩატარდა და ასეულ ათასობით მაყურებელი დაესწრო. პროგრამას დაემატა გიგანტური სლალომი და 10 კმ თხილამურებით რბენა ქალებისათვის. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ნორვეგიელებმა, პირადში — ი. ანდერსენმა (ნორვეგია), რომელმაც 3 ოქროს მედალი მოიპოვა ციგურაობაში.



სრული კრახი განიცადეს შვედმა მოთხილამურეებმა და მოციგურეებმა. მათ მხოლოდ სამი მედალი მოიპოვეს და ისიც ბრინჯაოსი. ჰოკეისტთა ტურნირი მოიგეს კანადელებმა. ეს იყო მათი უკანასკნელი ოქრო ოლიმპიურ თამაშებზე.

• • •

**საფრანგეთის მოთხილამურეთა ნაკრები გუნდის წევრი ქ. გოიჩელი, რომელიც შეყვანილია ოლიმპიურ ნაკრებში და მონაწილეობას მიიღებს ინსბრუკის ბატალიებში.**

## 168 კილომეტრი საათში

**ცნობილია, რომ თხილამურებით სწრაფდაშვების საუკეთესო ოსტატი 90 კმ სისწრაფეს ავითარებს, თუმცა, უფრო სწრაფად დაშვებაც შეიძლება. ეს დაამტკიცა 19 კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომელმაც განიზრახა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე ზაფხულის ბოლოს რეკორდი დაემყარებინა სპორტის ამ სახეობაში.**

**ტრასა ზღვის დონიდან 3.800 მეტრ სიმაღლიდან იწყებოდა, მთის ფერდობის დახრილობა 62 გრადუსს უდრიდა. ასე რომ, მონაწილენი მეტწილად ჰაერში ფრენდნენ, ვიდრე სრიალებდნენ. ზოგიერთი მათგანი მალე საავადმყოფოში მოხვდა. გამარჯვებულმა ა. პლანგერმა გაუგონარი სისწრაფე განავითარა — 168,244 კმ საათში.**

**რა თქმა უნდა, ეს რეკორდი არ დამტკიცდება. შეჯიბრება აკმაყოფილებს მხოლოდ თავზეხელაღებულ ადამიანთა პატივმოყვარეობას და სათხილამურო მოწყობილობის გამომშვები ფირმის რეკლამას.**

რედაქტორი ი. უბულავა.

„დინამოს"
სტადიონი
✦
საკავშირო პირველობა
„ა" კლასი
„დინამო"
(თბილისი)—
„დინამო"
(კიევი)
ძირითადი
შემადგენლობანი
დასაწყისი 15 ს. 15 წ.
ფეხბურთი

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობითა და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის—თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი". თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 11667